დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის 2023 წლის ანგარიში

2023 წელი მსოფლიო Covid-პანდემიის შემდეგ ნაწილობრივი ამოსუნთქვის წელი იყო ტურიზმისთვის თითქმის მთელ მსოფლიოში. დედოფლისწყაროს ტურისტული ბიზნესების ფინანსური მდგომარეობაც, მათი ერთი ნაწილის აზრით, წინა წელთან შედარებით ნაწილობრივ გაუმჯობესდა.

რაც შეხება სტატისტიკას, 2023 წელს ნაკლები ვიზიტორი შემოვიდა დაცულ ტერიტორიებზე, ვიდრე ეს იყო 2022 წელს.

სტატისტიკა დაცულ ტერიტორიებზე:

წლები	2021	2022	2023 (31.08.2023 მდგ.)
ვაშლოვანის ეროვნული პარკი	4053	3900	4482
ჭაჭუნას აღკვეთილი	2109	2910	1779
სულ	8183	8832	6261
საქართველოში უცხო ქვეყნების მოქალაქე ვიზიტორთა პირველი ხუთეული	უკრაინა ისრაელი რუსეთი ბელარუსი ლატვია	რუსეთი ბელარუსი ემირატები ყაზახეთი ისრაელი	რუსეთი პოლონეთი ყაზახეთი ემირატები ბელარუსი
სულ ვიზიტორები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე	589098	675079	786533

როგორც ცნობილია, დედოფლისწყაროში შემოსული ვიზიტორების უმრავლესობა სწორედ დაცულ ტერიტორიებს სტუმრობს. აქ სტატისტიკაც შედარებით მოწესრიგებულია და გამოქვეყნებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს საიტზე 31.08.2023 წლის მონაცემებით. ბოლო პერიოდში ამ საიტზე აღარ არის ინგლისურენოვანი ინფორმაცია ვაშლოვანის ეროვნული პარკის ბილიკების უმეტესობასა და ჭაჭუნას აღკვეთილზე. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ სააგენტოსთვის ეროვნული პარკების რეკლამირება ინგლისურენოვანი ვიზიტორებისთვის აღარ არის პრიორიტეტი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 25 დაცული ტერიტორიიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით ვაშლოვანი არის მე-17, ხოლო ჭაჭუნა-21-ე ადგილზე. ასევე, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე შემოსული ვიზიტორების მთლიანი რაოდენობის (786533) მხოლოდ 0,796% (6261) შემოდის დედოფლისწყაროს ბიოსფერულ რეზერვატში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობა - მირზაანის ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმი - რეაბილიტაციის გამო თითქმის ვერ იღებდა ვიზიტორებს. სავარაუდოდ, რეაბილიტაციის გაგრძელებული პროცესის გამო არც ამ მუზეუმის ადმინისტრაცია აწარმოებს აქტიურად მარკეტინგულ ღონისძიებებს.

ფაქტია, რომ დედოფლისწყაროს როგორც ტურისტული დესტინაციის განვითარებაზე სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად ადგილობრივმა კერძო ბიზნესებმაც უნდა ვიზრუნოთ. რაკი ჩვენ სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობაში ვერ ჩავერევით, ისღა გვრჩება, თავად გავაუმჯობესოთ ჩვენი რაიონის პოპულარიზაციისთვის მარკეტინგული ღონისძიებები.

რა გააკეთა ასოციაციამ 2023 წელს? რა გააკეთა მისმა თითოეულმა წევრმა საერთო საქმისთვის და თავისი პირადი ბიზნესის გასაძლიერებლად?

რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარების, ტურისტული პროდუქტის განვითარება-პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის ასოციაციის საწევროებით შეგროვილი თანხით გამოიცა დედოფლისწყაროს ტურისტული ცნობარი 1000 ეგზემპლარი.

ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის დახმარებით შემუშავებული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიხედვით 2023 წელსაც გრძელდებოდა მუშაობა ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრანტით დაფინანსებული პროექტით: **„სოფლის ტურიზმის პროდუქტების განვითარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში“** გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად. როგორც უკვე ცნობილია, ამ პროექტისთვის პრიორიტეტული მიმართულება იყო ტურიზმის სექტორში ახალგაზრდების ჩართვა და ქალი მეწარმეების ხელშეწყობა.

2023 წლის განმავლობაში ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივი გიდებისა და მძღოლებისთვის ბუნების ტურიზმის საკითხებზე, ადგილობრივი კვების ობიექტებისა და განთავსების საშუალებებისთვის - კულინარიული ტურიზმის საკითხებზე, მზის ენერგიის გამოყენება საქართველოში, ტურისტული სერვისის დიზაინი, ციფრული მარკეტინგი ტურიზმში, პერსონალური კონსულტაციები ონლაინ მარკეტინგის თემაზე, ხელნაკეთი ნივთების შეთავაზებებისა და სერვისების შემუშავება ვიზიტორებისთვის და სხვა.

პარალელურად, მიმდინარეობდა განცხადებების მიღება „კარგი მასპინძლის“ ეტიკეტის და სერტიფიკატის მისაღებად. სულ შემოვიდა 23 განაცხადი. ამათგან 2023 წელს15 პირმა მიღო ეტიკეტი. კიდევ ერთ ბიზნესს - შეთიძის თუშური ცხენების კომპანიას 2024 წელს გადაეცემა სერტიფიკატი.

აგვისტოში იყო ადგილობრივი მეწარმეების სასწავლო ვიზიტი ესტონეთის სოფლის ტურიზმის მეწარმეებთან.

2023 წლის შემოდგომაზე ოფიციალურად დასრულდა ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის და დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ერთობლივი პროექტი. მაგრამ ესტონელები ჩვენთან ერთად აგრძელებენ მუშაობას დედოფლისწყაროს ტურისტული ობიექტების გარე რუკაზე, რომელიც უკვე გადაეცა დასაბეჭდად და ადგილობრივი მეწარმეებისთვის „კარგი მასპინძლის“ ხარისხის კრიტერიუმებზე მოკლე სახელმძღვანელოს შექმნაზე.

ამ პროექტის ფარგლებში ესტონელი სპეციალისტების გამოცდილებით და დედოფლისწყაროს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ასოციაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა მონაწილეობით შემუშავდა და ქართულ ენაზე ითარგმნა ტურისტული პროდუქტის ხარისხის ზოგადი და მიზნობრივი ჯგუფური კრიტერიუმები მომსახურების შემდეგი ტიპებისთვის: განთავსების საშუალებები, კვების ობიექტები, აგრო ტურისტული ობიექტები, კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული, დეგუსტაციების მოწყობის, ბუნების ტურების ორგანიზების სერვისები, გიდების, ტრანსპორტით მომსახურების და სხვა მომსახურებებისთვის.

კრიტერიუმების შემუშავების მიზანია დედოფლისწყაროს ტურისტული სერვისებისთვის „კარგი მასპინძლის “ სპეციალური ეტიკეტის მინიჭება.

ტურისტული პროდუქტის ხარისხის კრიტერიუმების არსებობა ტურიზმში ჩართულ მეწარმეებს და მომსახურების მიმწოდებლებს დაეხმარება თვითშეფასებაში, გაუმჯობესების გეგმის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და დახვეწაში, ჯანსაღი კონკურენციის გაძლებაში, ასოციაციის ერთობლივ ღონისძიებებსა და ტურებში ჩართვის გზით შემოსავლების გაზრდაში. მეწარმემ ეტიკეტი შეიძლება გამოიყენოს მარკეტინგში.

„კარგი მასპინძლის “ სპეციალური ეტიკეტის არსებობა რაიონის ვიზიტორებს და პოტენციურ სტუმრებს დაეხმარება სასურველი სერვისის მოძებნასა და არჩევაში.

დედოფლისწყაროში „კარგი მასპინძლის“ სპეციალური ეტიკეტის მქონე ბევრი სერვისის არსებობა მთლიანობაში გაზრდის რაიონში შემოსული ვიზიტორების რაოდენობას, ასევე- რაიონში მათ მიერ გატარებული დროის რაოდენობას.

დედოფლისწყაროს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის პოპულარიზაციისთვის, ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო სოფლის ტურიზმის მე-4 საერთაშორისო კონფერენციაში, საქართველო-სლოვენიის და საქართველო-აზერბაიჯანის, გალფის ქვეყნების ბიზნეს-ფორუმებში.

დაწყებულია თანამშრომლობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესში ჩვენი წევრების, როგორც დაინტერესებული მხარეების, მონაწილეობისათვის.

ასოციაციის გამგეობა **რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებითაც** აწარმოებდა გარკვეულ მოლაპარაკებებს ზეპირი თუ წერილობითი ფორმით მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა უწყებებთან.

ასოციაციის ოპერირებისთვის თანხის მოსაზიდად მომზადდა და სხვადასხვა დონორთან იქნა საკონკურსოდ წარდგენილი 4 პროექტი. რომელთაგან, სამწუხაროდ, 3 არ დაფინანსდა, 1-ზე ჯერ პასუხი არ მიგვიღია.

ასოციაციის მიმდინარე საქმიანობის მოსახლეობისთვის გაცნობის, მისი პოპულარიზაციის, რაიონის ტურისტული პროდუქტების ცნობადობის გაზრდის, ტურიზმისა და გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით შეძლებისდაგვარად ქვეყნდება ინფორმაცია ასოციაციის საიტზე: dtda.ge. და აქტიურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ გაზეთ „შირაქთან“.

ზოგადი საკითხები

2023 წელს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასოციაციამ გაიარა ხელახალი რეგისტრაცია და განახლდა ორგანიზაციის ამონაწერი საჯარო რეესტრში.

ფინანსები:

2023 წლის 1 იანვრისთვის ანგარიშზე გვქონდა 448 ლარი.

საწევროს სახით 2023 წელს სულ შემოსულია 2020-2023 წლების დარჩენილი და მიმდინარე საწევროების სახით 2440 ლარი.

აქედან საიტის დომეინის, ჰოსტინგის, საბანკო ანგარიშის შენახვის და, კანონის მიხედვით, ორგანიზაციის ხელახალი რეგისტრაციისთვის, ასევე - დედოფლისწყაროს ტურისტული ცნობარის გამოსაცემად დაიხარჯა სულ 2502 ლარი. ანგარიშზე გვაქვს 386 ლარი.

კვლავ გვაქვს ჩვენი ორგანიზაციის გამოწვევები:

საიტზე ასოციაციის წევრ ბიზნესებზე ინფორმაციის სავალდებულო განახლების აუცილებლობა

ერთობლივი ტურების შედგენა და განფასებები

ყველა წევრის მიერ ინტერნეტში თავისი ბიზნესის პროფილის შექმნა, განახლება, მართვის პრობლემების გარკვევა და გამოვლენილი სირთულეების აღმოფხვრა.

ტურიზმში ახალგაზრდების, ჩვენი ოჯახის წევრების და ახლობლების, ასევე-ხელსაქმის ადგილობრივი ოსტატების, ჩართვის აუცილებლობა.

ფინანსური სახსრების მოძიება ბუღალტრის, საიტის ადმინისტრატორის, მარკეტინგის სპეციალისტის და ოფის-მენეჯერის ანაზღაურებადი თანამდებობისთვის.